



შპს ექვთიმა თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემური საბჭოს სხდომაზე
ოქმი №2, 5 თებერვალი 2015 წელი
რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

/ გულქან ქმოსტელი /

შეთანხმულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
სამსახურის უფროსი: /მარიამ დარბაიძე/

მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ქ.რუსთავი 2015 წელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მასაუისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
პროფესიული განათლების საფეხური	მესამე
მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	მასაუისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი	2015 წელი
პროგრამის ხელმძღვანელი	ნელი პაპუკაშვილი

პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :
მასაუისტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი.
დამატებითი მოთხოვნები
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - მინიმალური ასაკი 18 წელი.
ECTS, პროფესიული პროგრამის მოცულობა:
მასაუისტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია პროფესიული კრედიტების სისტემის შესაბამისად და მოიცავს:

60 კრედიტი-1500 საათს. აქედან :

- 24 კრედიტი – 600 საათი ეთმობა სასწავლო კომპონენტს;
- 36 კრედიტი – 900 საათი ეთმობა პრაქტიკის კომპონენტს;

➤ პრაქტიკისა და სასწავლო კომპონენტის პროცენტული თანაფარდობა შესაბამისობაშია მასაჟისტის (090651) დარგობრივ პროფესიულ სტანდარტთან:

- პროგრამის 40 % – ეთმობა სასწავლო კომპონენტს;
- პროგრამის 60% – პრაქტიკას(სასწავლო და სანარმოო პრაქტიკას).

➤ პროგრამის ხანგრძლივობა – 40 კვირა .

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს მასაჟისტი სამედიცინო რეაბილიტაციის ყველა ფაზაში(პოსპიტალურ,კონვალესცენტურ და პოსტკონვალესცენტური) სხვადასხვა სახის ავადმყოფობის მქონე პაციენტის სამკურნალოდ;პროფესიულ სტუდენტს შეასწავლოს სამკურნალო ფიზკულტურის ძირითადი საშუალებები ,მათი ჩატარების ფორმები,მეთოდები,პროცედურები.

სწავლის შედეგები:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> - ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგიის საფუძვლები - დაავადების ეთიოლოგია და პათოგენეზი - პაციენტის ჩართვა სამედიცინო ღონისძიებებში, რომელიც მიმართული იქნება პათოლოგიური პროცესების განვითარების პრევენციისთვის, რაც უზრუნველყოფს დროებით და მყარ შრომისუნარიანობას, ეფექტურ და დროულ დაბრუნებას საზოგადოებაში; - სამედიცინო მასაჟის ამოცანები და მეთოდები ორგანო-სისტემებზე ზემოქმედებისათვის (სისხლისმიმოქცევისა და ლიმფურ სისტემაზე, კანზე, კუნთოვან სისტემაზე, შემაერთებელ ქსოვილზე, ნერვულ სისტემაზე, შინაგან ორგანოებზე და მთლიანად მთელ ორგანიზმზე ზემოქმედებისას) ; - სამედიცინო მასაჟის საშუალებებს: ხელსმა, სრესა, თელვა, დარტყმითი ილეთები, რხევები (ბერტყვა, შერხევა, ვიბრაცია), პასიური მოძრაობები; - კინეზოთერაპიის ძირითადი საშუალებები: - საერთოგანმავითარებელი და სპეციალური ვარჯიშები (იდიომოტორული, იზომეტრული, პასიური, პოსტურული, მაკორეგირებელი, სუნთქვითი, რელაქსაციური და სხვ.) - კინეზოთერაპიის ფორმები: პროცედურა - ინდივიდუალური
-------------------------------------	--	--

		<p>და ჯგუფური მეცადინეობა; მექანოთერაპია, შრომითი თერაპია, კინეზიო-ბალნეოთერაპია, ტერენკური, რაიტთერაპია, დამოუკიდებელი ვარჯიში; ასევე - მოძრაობის რეჟიმები: წოლითი, პალატის, დაზოგვითი-წვრთნის და საწვრთნელი;</p> <ul style="list-style-type: none"> - სამედიცინო მასაჟის კაბინეტის მოწყობა: სამასაჟო ოთახის ფართობი, გარემო სან-ჰიგიენური წესების დაცვით, სამასაჟო ტახტების ფორმა (ზომა, სიმაღლე); სამასაჟო ზეთები, საცხები და მაღამოები; სპეციფიური აპარატურა (ვიბრომასაჟორები, ვაკუმმასაჟორები და სხვა); - ანტიცელულიტური, თათლით და სხვა ეგზოტიკური მასაჟის სახეების ჩატარება; - პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანის ჰიგიენური მასაჟის მეთოდები; - ურთიერთობის ფსიქოლოგია; - გაცნობიერებული აქვს სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნები და ამოცანები;
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები, ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • წაიკითხოს დიაგნოზი ლათინურ ენაზე და გაიცნოს პაციენტის კლინიკური მდგომარეობა ; • არტერიული წნევის გაზომვა, პულსისა და სუნთქვის დათვლა; პერკუსია და პალპაცია ;

		<ul style="list-style-type: none"> • ტალახის, პარაფინის აპლიკაციის დადება; • მასაჟისადმი ტოლერანტობის ნიშნების გამოკვლევა; • პირველადი დახმარების აღმოჩენა ; • სამკურნალო მასაჟის მეთოდის გამოყენება სხვადასხვა პროფილის დაავადებით პაციენტთა რეაბილიტაციაში (ეჭმის მიერ დასახული ამოცანების შესრულების შესაბამისად) ; • კინეზოთერაპიისა და მანუალური თერაპიის ილეთების გამოყენება სქოლიოზისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სხვა დეფორმაციისა და დაზიანების მქონე პაციენტების მკურნალობა-რეაბილიტაციაში ; • ზოგიერთი ტრადიციული მასაჟის პროცედურების ჩატარება ; <p>სპორტული და ჰიგიენური მასაჟის მეთოდის გამოყენება;</p>
დასკვნის უნარი	შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა.	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • დროულად ამოიცნოს პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი <p>ამოიცნოს დაავადების რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები; გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად მეორადი პროფილაქტიკის ღონისძიებების სატარებაში</p>
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე	<p>შეუძლია:</p>

	<p>ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ასევე უცხოურ ენას საბაზო დონეზე.</p>	<ul style="list-style-type: none"> - უცხოურ ენაზე აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება; - კომუნიკაცია პაციენტთან, მის ოჯახის წევრებთან და მედპერსონალთან ; - სხვისი საუბრის მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროებისას დაზუსტება; - შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში;
სწავლის უნარი	<p>შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა.</p>	<p>ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ფოკუსირება მოახდინოს საკუთარი ცოდნის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე; - მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას;
ღირებულებები	<p>იცნობს საქმიანობისათვის ღირებულებებს.</p> <p>პროფესიული დამახასიათებელი</p>	<p>იცნობს:</p> <ul style="list-style-type: none"> - იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს; - იცავს სანიტარულ ნორმებს ; - იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს - პაციენტისა და კოლეგების მიმართ არის კეთილგანწყობილი
<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების მეთოდები:</p> <p>სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც წინამდებარე პროფესიული პროგრამის პრაქ-</p>		

ტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას. სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული მეთოდები (ვერბალური - თემის ახსნა. გამოკითხვა, მსჯელობა და დებატები, მოხსენების წარდგენა; წერილი - ლექციებზე ჩანაწერები, პრაქტიკული მეცადინეებისთვის დავალების მომზადება, სამუშაო ჯგუფში მოხსენების/პრეზენტაციების მომზადება, ამონაწერები სახელმძღვანელოდან; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება - ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, პროფესიასთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის ამოცანების შესრულება, მოხსენებისთვის საილუსტრაციო მასალის მომზადება და სხვ.), ასევე სხვადასხვა მეთოდების კომბინირება (მაგ., ლექციებზე - მოსმენა და ჩანაწერი; პრაქტიკული მეცადინეობზე - ვერბალური: აქტივობა, შესწავლილ თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და მსჯელობა, წერილობითი: დავალების მომზადება; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება: კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება; სამუშაო ჯგუფში მუშაობისას - წერილობით მომზადებული. კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით გაფორმებული/ილუსტრირებული და ვერბალურად წარდგენილი მოხსენებები და ა.შ.). მეთოდების კომბინირება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების ფორმატი:

საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება ითვალისწინებს შემდეგ ფორმატს: თეორიული სასწავლო კურსების შესწავლა და პრაქტიკა, რომელიც მოიცავს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად და მდგომარეობს შემდეგში:

სასწავლო კურსების შესწავლით (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა) პროფესიულ სტუდენტს უყალიბდება პროფესიისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და გამოუმუშავდება პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარი, ასევე სხვა კომპეტენციები, როგორცაა დასკვნის, კომუნიკაციის, სწავლის უნარები, ჩამოუყალიბდება ღირებულებები. პროფესიულ სტუდენტთა თეორიული ცოდნა შემოწმდება სამუშაო ჯგუფში მუშაობისას მიღებული შეფასებებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მეშვეობით. პროფესიულ სტუდენტსა და სასწავლო კურსის წამყვან ლექტორს/მასწავლებელს შორის ინდივიდუალური მუშაობის გაზრდით მიზნით სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორები/მასწავლებლები პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარებენ კონსულტაციებს.

პროფესიული პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია პრაქტიკა, რომელშიც მოიაზრება, როგორც სასწავლო, ასევე საწარმოო პრაქტიკა. სასწავლო პრაქტიკის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს ჩამოუყალიბოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, დაეხმაროს სასწავლო კურსების

შესწავლით მიღებული თეორიული ცოდნის გამყარებაში და ასწავლოს მისი დამოუკიდებლად, პრაქტიკული გამოყენება რეალურ გარემოსთან დაახლოებულ პირობებში სამუშაო ადგილის სიმულაციის გზით. სასწავლო პრაქტიკა ჩატარდება გამოცდილი და სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მეთვალყურეობით.

საწარმოო პრაქტიკას, პროფესიული სტუდენტები გაივლიან სხვადასხვა საწარმოებში/ორგანიზაციებში, რადგან საწარმოო პრაქტიკის მიზანია პროფესიულ სტუდენტს რეალურ გარემოში გააცნოს მისი მომავალი სამუშაო ადგილი, შესასრულებელი ფუნქციები და დაეხმაროს ამ ფუნქციების შესრულების უნარ-ჩვევების გამომუშავებაში უშუალოდ პრაქტიკული საქმიანობის შედეგად. სასწავლო პრაქტიკაზე პროფესიული სტუდენტის დაშვების წინაპირობაა სასწავლო პრაქტიკის წარმატებით გავლა და დადებითი შეფასების მიღება.

პროფესიული კვალიფიკაცია ენიჭება პროფესიულ სტუდენტს სწავლის ბოლო ეტაპზე - საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ყველა კომპონენტის-სასწავლო კურსის, მათ შორის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ათვისების შემდეგ.

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების მიზანია განსაზღვროს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის, უნარების და ღირებულებების დონე პროფესიული პროგრამის მიზნებთან და მოთხოვნებთან მიმართებაში:

➤ შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
- დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:
 - ა) შუალედურ შეფასებას;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
- პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.
 - შეფასების კრიტერიუმები განვირგნოთ სასწავლო კურსების სილაბუსებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ პროფესიულმა სტუდენტმა შეისწავლა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, გაიარა სასწავლო და სანარმოო პრაქტიკა, მიიღო მხოლოდ დადებითი შეფასებები, **წინამდებარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებულად დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.**

დასაქმების სფერო

მასაჟისტი არის სამედიცინო პერსონალი, რომელსაც შეუძლია მუშაობასხვადასხვა სახის ავადმყოფობის მქონე პაციენტთა სამედიცინო რეაბილიტაციის ყველა: ჰოსპიტალურ, კონვალესცენტურ და პოსტკონვალესცენტურ ფაზაში.

მასაჟისტი შეიძლება დასაქმდეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში: საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, დისპანსერებში, სანატორიუმებში, ჰიგიენური პროფილის სალონებში, სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში, ბავშვთა და ინვალიდთა სახლებში, პანსიონებში. მასაჟისტს შეუძლია ექიმი-რეაბილიტოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ ბინაზე მომსახურება.

სწავლის გავრძელების შესაძლებლობა

მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს აქვს შესაძლებლობა სწავლა გააგრძელოს მასაჟისტის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სწავლის შედეგების რუქა

სასწავლო კურსების დასახელება	კომპეტენციები					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1. საოფისე კომპიუტერული პროგრამები	X	X		X		

2. ინგლისური ენა	X	X		X		
3. ლათინური ენა	X	X				
4. ადამიანის ანატომიის და ფიზიოლოგიის საფუძვლები	X					
5. ელემენტარული მათემატიკა	X	X				
6. თერაპიის საფუძვლები	X	X				
7. კინესიოლოგია და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის მკურნალობა	X	X				
8. სამკურნალო ფიზკულტურა და სამკურნალო მასაჟი I	X	X	X		X	
9. ურთიერთობის ფსიქოლოგია	X					X
10. სამკურნალო ფიზკულტურა და სამკურნალო მასაჟი 2	X	X	X		X	
11. სა სწავლო პროექტიკა		X	X			
12. საწარმოო პროექტიკა		X	X	X	X	X

სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ჭ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა	სასწავლო კურსის კოდი
		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები		
		ლექცია	პრაქტიკული ლაბორატორიული	პრაქტიკა	შუალედური	დაკვებითი გამოცდა			
1. საოფისე კომპიუტერული პროგრამები	3	15	35		2	1	22	75	MAS0001VET
2. ინგლისური ენა	3	50			2	1	22	75	MAS0002VET
3. ლათინური ენა	1	15			2	1	7	25	MAS0003VET
4. ადამიანის ანატომიის და ფიზიოლოგიის საფუძვლები	2	30			2	1	17		50
5. ელემენტარული მათემატიკა	1	15			2	1	7	25	MAS0005VET
6. თერაპიის საფუძვლები	2	30			2	1	17	50	MAS0006VET
7. კინესიოლოგია და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის მკურნალობა	3	50			2	1	22	75	MAS0007VET
8. სამკურნალო ფიზკულტურა და სამკურნალო მასაჟი I	4	63			2	1	34	100	MAS0008VET
9. ურთიერთობის ფსიქოლოგია	1	15			2	1	7	25	MAS0009VET
10. სამკურნალო ფიზკულტურა და სამკურნალო მასაჟი 2	4	63			2	1	34	100	MAS0010VET
11. სასწავლო პრაქტიკა	20			495	2	3		500	MAS0011VET

12.საწარმოო პრაქტიკა	16			395	---	5		400	MAS0012VET
სულ	60	346	35	890	22	18	189	1500	

პროფესიული პროგრამის განმხორციელებელი პერსონალი

№		სახელი, გვარი
1.	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	თინათინ მალრაძე
2.	ინგლისური ენა	მაია მარლანია
3.	ლათინური ენა	ნათელა პატარიძე
4.	ადამიანის ანატომიის და ფიზიოლოგიის საფუძვლები	მარიამ დარბაიძე
5.	ელემენტარული მათემატიკა	დარეჯან ბინაძე
6.	თერაპიის საფუძვლები	ქეთევან ტყეშელაშვილი
7.	ურთიერთობის ფსიქოლოგია	იზოლდა ბუხულიაშვილი
8.	სამკურნალო ფიზკულტურა და მასაჟი I	ნელი პაპუკაშვილი
9.	კინესიოლოგია და საყრდენ-	ნელი პაპუკაშვილი

	მამოძრავებელი სისტემის მკურნალობა	
10.	სამკურნალო ფიზკულტურა და მასაჟი II	ნელი პაპუკაშვილი
11.	სასწავლო პრაქტიკა	ნელი პაპუკაშვილი
№	პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულება/ორგანიზაცია	
1.	ქ. რუსთავის №1 დიაგნოსტიკური ცენტრი	ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №19, 15.06.2012 წ. ქ. რუსთავის №1 დიაგნოსტიკური ცენტრი
2.	წ.სს. ქ. რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო	ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №20, 15.06.2012